წლიწადი პირველი.

თბილისი, შაბათი 8 ივლისი, 1906

# ახალი ცხოვრება

ცალკე ნომერი 3 კ.

თბილისი. შაბათი 8 ივლისი, 1906 წ.

№ 15. ყოველდღიური გაზეთი № 15.

თბილისის ქართულ კერძო გიმნაზიის გამგე კომიტეტი აცხადებს, რომ უბედურათ მოკლულ სათავად-აზნაურო გიმნაზიის ინსპექტორის

**შიო ალექსის ძის ჩიტაძის.**

დასაფლავება დანიშნულია შაბათს, დილის 10 საათზე. ცხედარს გამოასვენებენ სვანიშვილის სახლიდან (მუსხელიშვილის ბინა) და წაასვენებენ კუკიის სასაფლაოზე. პანაშვიდი გადახდილ იქნება ი. სვანიშვილის სახლში კიროჩნი ქუჩაზე დღეს, პარასკევს, 12 საათზე და საღამოს 7 საათზე.

---

მეუღლე უსტინა კირილეს ასული ჩიტაძის, დედა დარია და ძმა სიკო ამით აცხადებენ, რომ

**შიო ალექსის ძის ჩიტაძის**

დასაფლავება დანიშნულია შაბათს, დილის 10 საათზე. ცხედარს გამოასვენებენ სვანიშვილის სახლიდან (მუსხელიშვილის ბინა) და წაასვენებენ კუკიის სასაფლაოზე. პანაშვიდი გადახდილ იქნება ი. სვანიშვილის სახლში, კიროჩნი ქუჩაზე დღეს, პარასკევს, 12 საათზე და საღამოს 7 საათზე.

---

ამხანაგები უბედურათ მოკლულ დაუვიწყარ **შიო ალექსის ძის ჩიტაძისა** ამით აუწყებენ

**შიო ალექსის ძის ჩიტაძის**

დასაფლავება დანიშნულია შაბათს, დილის 10 საათზე. ცხედარს გამოასვენებენ სვანიშვილის სახლიდან (მუსხელიშვილის ბინა) და წაასვენებენ კუკიის სასაფლაოზე. პანაშვიდი გადახდილ იქნება ი. სვანიშვილის სახლში, კიროჩნი ქუჩაზე დღეს, პარასკევს, 12 საათზე და საღამოს 7 საათზე.

---

რედაქცია „ცნობის-ფურცლისა“ და „შრომისა“ ამით აცხადებს, რომ უბედურად მოკლულ დაუვიწყარ თანამშრომლის

**შიო ალექსის ძის ჩიტაძის**

დასაფლავება დანიშნულია შაბათს, დილის 10 საათზე. ცხედარს გამოასვენებენ სვანიშვილის სახლიდან (მუსხელიშვილის ბინა) და წაასვენებენ კუკიის სასაფლაოზე პანაშვიდი გადახდილ იქნება ი. სვანიშვილის სახლში, კიროჩნი ქუჩაზე დღეს, პარასკევს, 12 საათზე და საღამოს 7 საათზე.

---

ს.-ფედერალისტთა მუშათა ჯგუფი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობთ გარდაცვალებას მტარვალის ხელით ტრაგიკულათ მოკლულის, უსამართლობის მედგარ მებრძოლი ამხანაგის

**შიო ალექსის ძის ჩიტაძისას**

განსვენებულის გვამს გამოასვენებენ დღეს, დილის 10 საათზე და დაკრძალავენ კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

---

თბილისის ქართულ გიმნაზიის მოწაფენი და ახლა კურს დამთავრებული სტუდენტები გულითადის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას დაუვიწყარი მასწავლებლის და ინსპექტორის

**შიო ალექსის ძის ჩიტაძის**

ტრაგიკულათ მოკვლას.

---

## თბილისის ქალაქის გამგეობა

ამით აუწყებს ყველა სახლის პატრონებს და კვარტირანტებს, რომ 1906 წ. ივლისს დილიდან დაიწყება ქალაქის მცხოვრებთა აღწერა საოჯახო სიის შედგენით და სახლების და ეზოების სანიტარული მდგომარეობის გამოსაკვლევათ. ამ საქმის სასურველათ დაგვირგვინება დამოკიდებულია იმ დახმარებისგან, რომელსაც გაუწევენ სახლის პატრონები და კვარტირანტები ქალაქის გამგეობის რწმუნებულთ. ქალაქის გამგეობას იმედი აქვს ამ დახმარების და სთხოვს მცხოვრებთ შეუფერხებლათ მოაწოდონ მის რწმუნებულებს ყველა ცნობები, რომელიც საჭირო იქნება ცალკე დაბეჭდილი ფურცლების მიხედვით. ( – 1)

---

**ტაშკენტში ,არიკადებიანი ბრძოლა პოლიტიკურ ტუსაღების გასათავისუფლებლათ.—ქუთაისში ტუსაღებმა შიმშილით გაფიცვა გამოაცხადეს.—გენერალ სტესსელს სამართალში აძლევენ; დახვრეტა ელის.—შვეიცარიის მთავრობა რუსეთისას მოსკოვი, ბანკის გამძარცველს აძლევს.**

---

### მ ო წ ო დ ე ბ ა.

ამხანაგებო, მუშებო და მოქალაქენო! სამრეწველო და ფინანსიურმა კრიზისმა მოიცვა მთელი რუსეთი და აუარებელი მუშა ხელი უსაქმოთ დასტოვა. ასი-ათასობით უსაქმოთ დარჩენილი ქალი და კაცი ქუჩებში ყრიან და შიმშილის კერძათ გამხდარან. ეს უსაქმოთ დარჩენილები თხოულობენ ახლა თავიანთ „უფლებას სამუშაოზე, თხოულობენ საზოგადო სამუშაოს მოწყობას. ისინი უკვე შეკავშირდენ მთელ რუსეთში და თავიანთი უფლებისათვის მზათ არიან იბრძოლონ, მაგრამ ჯერ-ჯერობით რუსეთის ბურჟუაზია და მისი დაწესებულებები—ქალაქის თვითმმართველობანი, ბანკები და სხვა საკრედიტო დაწესებულებანი არავითარ დახმარებას არ აძლევენ უსაქმოთ დარჩენილ. მუშებს, დღემდე მხოლოთ დაპირებით ისტუმრებენ მათ. უსაქმოთ დარჩენილთ კი შიათ. საჭიროა მათი დახმარება, მოქალაქენო! თქვენ შეგიძლიანთ ამ საქმეს დაეხმაროთ ფულით. გაიღეთ ვისაც რამდენი შეგიძლიათ.

**უსაქმოთ დარჩენილთა საბჭო.**

შემოწირულებანი მიიღება ჩვენ რედაქციაში.

---

**რქოს რა ისხამს?**

Когда бы верхъ могла
поднять ты рыло,
Тебѣ бы видно было,
что эти желуди
На мнѣ растутъ.

**კრილოვი.**

საბრალონი იყვნენ კადეტები დეკემბრამდის. ხალხი ის იყო თავისუფალ სიცოცხლეს ხარბათ ეწაფებოდა. ხალხი თანდათან წელში იმართებოდა და ახოვან ხელებს არწივის შავი თავების წასაწყვეტათ იწოდებდა. ეს „ბრბოს“ დღესასწაული იყო. უხეში ხმა პროლეტარისა მარტო ქუჩაზე არა გრვინავდა. ის ყველგან დაუპატიჟებლათ იჭრებოდა და ლიბერალების კეთილხმოვან სიმღერაში გამაბრაზებელი დისონანსი შეჰქონდა. კადეტები სდუმდენ ისინი ობლათა გრძნობდნენ თავის თავს. ყოველი მათი მეცადინეობა, მიმართული იმ მიზნისკენ, რომ ხალხს მიჰკროდნენ, დანათესავებოდნენ,—ამაოთ რჩებოდა. რამდენი სახელი არ გამოიცვალეს: „ოსვობოჟდენცები“, კონსტიტუციონალისტები, დემოკრატები, ბოლოს „ხალხის თავისუფლების“ პარტიაც დაირქვეს—ვერაფერმა გასჭრა. უნდა დამორჩილებოდნენ ავ ბედის წერას, მაგრამ დეკემბრის სისხლის ღვრამ იხსნა კადეტები. ალიხანოვებმა და დუბასოვებმა ხმა ჩააწყვეტინეს პროლეტარიატს. ისინი კადეტებს არას ერჩოდენ. ამან კადეტებს გული ისევ საგულეს მოჰგვარა. თვის არა წმინდა სიხარულს, არც კი მალავდნენ—„ანარხიის დესპოტიზმს“ ბოლო მოეღო! მოსკოველ მუშების სველ საფლავზე ისინი გონიერების და ზომიერების მოდღესასწაულე გალობას მღეროდნენ. რევოლიუცია გათავდა, დროა თ ვერ გავანებოთ ძველი წესების თავდაუჭერელ მსხვრევა ახლა მყუდრო კონსტიტუციონურ „მოღვაწეობას“ უნდა შევუდგეთო,—ასეთი ხმები ისმოდა კადეტების ბანაკიდან ე. ი. გეყოფათ ბრძოლა, ჩვენ გვინდა ახლა თქვენი ბრძოლის ნაყოფი მოვწყვიტოთ. თქვენ სისხლის ღვრა და საფლავები—ჩვენ „ცოტა რამ“ უფლებებს შევიძენთო.

და ამ „ახლად დაბადებულების“ ხოროს თვისი ხმები შეუერთეს პლეხანოვმა და ძმათა მისთა. არ უნდა მოგვეკიდნათ იარაღისთვის ხელი,—ამხილებდა პლეხანოვი იანვარში დეკემბრის აჯანყებულებს. კადეტების დღე თენდებოდა. რევოლიუციას სული ამოხდა,—ეს აზრი იმედებით უვსებდა მათ გულს.

მაგრამ ეს ყალბი ოცნება იყო. პროლეტარიატი ჯერ არ ფიქრობდა იარაღის დაყრას. გუშინდელი ბრძოლით დაოსებული ის დღეს ისევ ძალებს იკრეფავდა 11 დეკემბრის საარჩევნო კანონის საპასუხოთ. გაიძვერა ვიტტე ცდილობდა ფიზიკური გამარჯვება მორალური გამარჯვებით დაეგვირგვინებია. შურისძიებით აღსავსე გული პროლეტარიატისა უნდოდათ ცრუ პარლამენტარული კომედიით მოელბოთ მაგრამ ამ ქსელში ყველა გაება პროლეტარიატის გარდა; ყველამ სასოებით დაიკრიფა გულზედ ხელები და სათათბიროს შეაჩერდა. „კონსტიტუციონურ თვითმპყრობელობის“ ბუში რევოლიუციონურ მესიათ მიიღეს. აი სწორეთ მაშინ რევოლიუცია განსაცდელში იყო. პროლეტარიატმა ბოიკოტით იხსნა რევოლიუცია. ბოიკოტმა ჩამოარეცხა თვითმპყრობელობას სახეზე კონსტიტუციონური ფერუმარული და ზედ გაიძვერობის ლალი დაასვა. ბოიკოტში ხორცი შეისხა პროლეტარიატის ალღომ. მისი მეოხებით ხალხი ანაზდეულათ მიხვდა, რა ხაფანგიც იყო შემოტყუებული სათათბიროს სახით და ჩქარაც გაიგო ამ ხაფანგის „სეკრეტი“. ბოიკოტზე ისწავლა პროლეტარმა ყველა ლამაზ სიტყვათა კლასსიური შინაარსის გამოცნობა. და როდესაც როდიჩევები და ნაბოკოვები სცდილობენ თვისი მომხიბლაველ ენამჭევრობით პროლეტარიატს რევოლიუციონური სული მოუკლან, პროლეტარიატი უყურებს ბოიკოტს, როგორც ისრაელი სპილენძის გველს, და უვნებელი რჩება.

მხოლოთ ბოიკოტმა გამოგვაყენებინა რევოლიუციონურათ თვით ანტირევოლიუციონური სათათბირო.

კადეტები საარჩევნო „გამარჯვებამ“ გააგიჟა. პირველათ მათ მედიდურობას სამზღვარი აღარა ჰქონდა,—თავი „რევოლიუციის“ ბატონ პატრონათ წარმოიდგინეს. მაგრამ მალე ჩამოცვინდათ ყურები. ბოიკოტის საშინელმა აჩრდილმა მათ მოსვენება დაუკარგა. და როდესაც ისი-

ნი შავ-კამარილასთან ჩურჩულს მართავენ, მათ მედგარი ხმა ჩასძახის ყურში: „ჰქმენი ჩქარით“. ეს ხმა ბოიკოტისაა და როგორც იუდა ჰგმობდა და სწყევლიდა ქრისტეს მამხილებელ მოჩვენებას, ისე კადეტებიც ჰგმობენ და სწყევლიან ბოიკოტს ვაი მათ რევოლიუციის განკითხვის დღეს.

რას ეტყვის რევოლიუცია იმ ზოგიერთა ჩვენს ამხანაგებს, რომლებიც რუსეთის პროლეტარიატის ბოიკოტს კადეტებთან ერთად გმობენ—„ცხოვრებამ ბოიკოტის ტაქტიკა უარჰყოო“ მიუტევებს, რამეთუ უკუღმართ იქმონენ.

და ბოლოს მაინც მიხვდებიან, რომ ბოიკოტი ეს თვით რევოლიუცია რომ რკოს მუხა ისხამს...

**ჯან-ბეზარი.**

## სადღეისო კითხვები.

### დუმა ხალხის მოძრაობის ჩაქრობას ცდილობს.

დეპ. ალადინმა ამას წინეთ დუმაში განაცხადა, რომ დუმა რევოლუციას აკავებს იმით, რომ ხალხში ყალბ აზრებს ავრცელებენ დუმის შესახებ, ვითომც დუმას მართლა შეეძლოს ხალხს მიანიჭოს თავისუფლება და მიწა. ჩვენ დღეს არ ვეუბნებით ხალხს სრულ სიმართლეს, რომ ჩვენ უძლური ვართ, რომ დუმას თავისთავათ არაფრის გაკეთება არ შეუძლიაო. მაგრამ ამ უკანასკნელ დროს ხალხი რწმუნდება, რომ დღევანდელ დუმას ლაყბობის კანონპროექტების შემუშავების და კომისიების დანიშვნის მეტი არ შესძლებია რა. ხალხი თითონ ღებულობს ზომებს თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, და სისხლის მწოვარი მთავრობისაგან თავის დახსნას. აგრარული მოძრაობა მრისხანე ხასიათს ღებულობს და ეს შეუძლებელი არ დარჩებოდა დუმის უმრავლესობას—მის ბურჟუაზიულ ჯგუფებს, ე. ი. კადეტებს და მარჯვენა ფრაქციებს. მოძრაობის ახალმ ფორმამ, რაც მასსის შეგნებულ მოქმედებაში იხატება თავზარი დასცა იმათ, ვისაც რევოლიუციის გამარჯვების ეშინიან. ამ გარემოებამ აიძულა დუმის კომისია წინადადება შეეტანა დუმაში. ამ წინადადებაში ნათქვამია, რომ დუმის შეკრების დროს მოძრაობა ხალხში სუსტი იყო; გლეხებს დუმის იმედი ქონდათ, მაგრამ მთავრობის მოქმედებამ და დუმის უნაყოფობამ ხალხს იმედი დაუკარგა მშვიდობიანი გზით თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების. თუ მოძრაობა კიდევ უფრო გაიზარდა, მთელ სახელმწიფოს დაღუპვა მოელისო. კომისიის აზრით საჭიროა დუმა ჩაერიოს ამ ბრძოლაში, და ხალხი დაამშვიდოს, რომ დუმას შეუძლია ხალხის მოთხოვნების დაკმაყოფილება. მაგრამ კომისია სასტიკათ ცდება, როცა ხალხს არწმუნებს იმაში, რომ მას რაიმეს გაკეთება შეუძლია. ამის შეურყეველი საბუთი მისი $2^{1}/_{2}$ თვის მოღვაწეობაა.

### სახელმწიფო საბჭო და სიკვდილით დასჯა.

რუსეთის ყალბი უუფლებო კონსტიტუციონური ქვედა პალატის — დუმის გვერდით, ანუ უკეთ რომ ვთქვათ მის ზევით არსებობს სახელმწიფო საბჭო. დუმის ყველა გადაწყვეტილება ჯერ სახელმწიფო საბჭოში შედის. მკითხველმა იცის, თუ ვისგან შესდგება ეს დაწესებულება. იქ თავმოყრილი არიან ხალხის ყველა ორგული და მოღალატე ელემენტები. აშკარაა, თუ როგორ დაუჭერს მხარს სახელმწიფო საბჭო განმათავისუფლებელ მოძრაობას. ამის მაგალითს გვაძლევს დუმის მიერ ერთხმათ მიღებული სიკვდილით დასჯის მოსპობის კანონპროექტის განხილვა საბჭოში. როგორც მოსალოდნელი იყო აქ სიკვდილით დასჯის მომხრეები ბლომათ აღმოჩნდნენ, და თითქმის არავინ გამოჩენილა ისეთი, რომელიც ამ სასჯელის სრულიად მოსპობის მომხრე ყოფილიყო. დიახ აქ შეკრებილი არიან ყველა ნამდვილი რეაქციონური, შავრაზმელთა ელემენტები, ე. ი. ხალხის ნამდვილი მტრები, რომლებიც მხოლოთ თავის უპირატესობის, თავის კლასობრივი ბატონობის შენარჩუნებისთვის ზრუნავენ. თვით ქრისტეს მოძღვრების წარმომადგენელიც ასაბუთებდა სიკვდილით დასჯის საჭიროებას. ამნაირათ საბჭო არა სცნობს საჭიროთ სიკვდილით დასჯის მოსპობას. ზოგიერთები მხოლოთ საჭიროთ სცნობენ არ იქნან დასჯილი სიკვდილით დედაკაცები, მცირეწლოვანნი და ღრმათ მოხუცები (70. წლის ზევით). აი ასეთია სახელმწიფო საბჭო! და იგი სწორეთ ასეთიც უნდა ყოფილიყო. საკვირველია მხოლოთ ერთი გარემოება ამ რამდენიმე ხნის წინეთ გაზ. „ლამპარი“ ხმა-მაღლა გაიძახოდა, რომ არა თუ დუმა, არამედ სახელ. საბჭოც ოპოზიციონური გამოდგაო. ძნელი გამოსაცნობია, თუ როგორ ესმოდა გაზეთს საბჭოს „ოპოზიციონერობა“.

### გენ. ალიხანოვის ანდერძი

გენ. ალიხანოვმა ჩვენში დიდი „სახელი“ გაითქვა. იშვიათათ თუ იმას ყოველ დღე არ ახსენებდენ არა თუ ჩვენში, არამედ თვალ-უწვდენელ რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილას. იმის „სახელი“ ჯერ კიდევ დიდ ხანს დარჩება. სულ სხვაა, თუ რა საქმით, რა მოქმედებით მოიხვეჭა მან ასეთი „სახელი“. მან აიოხრა და, გაანადგურა მთელი გუბერნია, მან აიკლო და ცეცხლსა და მახვილს მისცა მილიონ ხალხის სარჩო-საბადებელი და სიცოცხლე, მთელ გუბერნიაში მას ერთი ციდა ადგილიც არ დარჩენია, სადაც არ აეტირებიოს და არ შეეძრწუნებიოს საბრალო მცხოვრებლები. მაგრამ მე ვცდები: მას დარჩა ერთი ასეთი ადგილი. ეს იყო სვანეთი. ალიხანოვის „მოღვაწეობას“ ზამთარში ქონდა ადგილი და ეს სწორეთ ისეთი დროა, როცა სვანეთში გადასვლა და ჯარების გადაყვანა შეუძლებელი იყო ფიზიკურ პირობების გამო. მაგრამ იმას არ დაუვიწყია სვანეთი. და თუმც მას აღარ დააცალეს ქუთაისის გუბერნიაში ყოფნა, მაგრამ სამაგიეროთ თავის მემკვიდრეს დაუტოვა თავისი ანდერძი: სვანეთსაც ის დღე დააყენე, რაც გუბერნიის სხვა კუთხეებს მე დავმართეო. და აი დღეს, როცა სვანეთში სრული სიწყნარეა და ხალხი დამშვიდებულია გენ. იაზიკოვს იქ დიდ-ძალი ჯარი გაუგზავნია კაზაკებით და სამთო ზარბაზნებით. რა უნდა ქონდეს მიზნათ ასეთ გალაშქრებას? ვინც მთავრობის პოლიტიკას იცნობს, იმისთვის ეს ადვილი გამოსაცნობია.

## პრესა

„სიმართლე“ აღნიშნავს სათათბიროს და ხალხთ დამოკიდებულებას და ამბობს: „ხალხი წინ ეწევა დუმას, დუმა **წინ ეწევა ხალხს**“ (იხ. „სიმ“. № 2). აი რას მოესწარით, ქრისტიანებო! თურმე ნუ იტყვით ხალხი დუმაზე უკან ჩამორჩენილა და აი, დუმა წინ ეწევა ხალხს. დუმა—ეს დუმის უმეტესობაა; დუმის უმეტესობა კადეტური უმეტესობაა; კადეტური უმეტესობა უარჰყოფს ხალხის, პროლეტარიატისა და გლეხკაცობის მოთხოვნებს—დემოკრატიულ რესპუბლიკას, დუმის უმეტესობა მთელი ნაბიჯით ჩამორჩა ხალხს,—ჩვენი მენშევიკი— ამხანაგები კი გვარწმუნებენ: ხალხი უკან ჩამორჩა დუმას და „დუმა წინ ეწევა მასო“. დღეს ამას კადეტებიც კი აღარ ამბობენ... ამიტომ არის, რომ ასე გულის წყრომით გვემდურებიან ჩვენი ამხანაგები: ბალშევიკები „ბურჟუაზიის ლანძღვა-გინებას“ უნდებიანო (იხ. იქვე). ოღონდაც ამხანაგებო, ოღონდაც რომ ლანძღვა-გინებით გაუმასპინძლდებით ყველა იმას, ვინ ლანძღვა-გინების ღირსია. სოციალ.-დემოკრატ. მიზანი სწორეთ იმაშია, რომ გააშუქონ ცხოვრება და შავი და თეთრი გამოააშკარავონ, დანარჩენი ხალხის საქმეა. დიახ ეს ადვილი გასაგებია. მაგრამ რატომ ხდება, რომ ყოველ-

# ფელეტონი

### ახალი აგრარული პროგრამა რ. ს.-დ. მ. პ.

(რუსულიდან)

ხალხის თქმულებით თუ ბავშვს შვიდი ძიძა ჰყავს, ეს ცუდის მომასწავებელია. ეს თქმულება მთლათ გამართლდა რუსეთის სოციალდემოკრატიულ აგრარულ პროგრამაზედ, რომელსაც შვიდი ძიძა ჰყავდა ამ უკანასკნელ სიეზდზე.

ხუთი ოფიციალური „დოკლადჩიკი“ იცავდა ხუთ სხვა-და-სხვა პროექტს: დეონი, ლენინი, პლეხანოვი, შმიდტი და ბარისოვი; გარდა ამისა, ერთი ამხანაგი, არა ოფიციალურათ კამათის დროს, იცავდა რაჟკოვის აზრს (თუმცა შესწორებით); და ბოლოს, იყო კიდევ თვალ-საჩინო ჯგუფიც, რომელიც სულ უარს ყოფდა აგრარულ პროგრამას სოციალ-დემოკრატიისთვის.

ამ შვიდი მიმდინარეობის ერთმანეთში ბრძოლამ დაბადა რაღაც უსახური არსება—„Ни мышенокъ, ни лягушка, а какая-то звѣрушка“, რომელსაც ამიერიდან სახელათ რუსეთის სოციალდემოკრატიული აგრარული პროგრამა დაერქვა. ამის გასაგებათ, თუ ასე უშნოთ როგორ მოიყარეს თავი ერთათ ნაციონალიზაციამ, მუნიციპალიზაციამ და მიწის და ყოფამ, უნდა თვალი გადავავლოთ კამათის მსვლელობას სიეზდზე.

სიეზდის უმრავლესობისაგან („მენშევიკებისაგან“) იყო წამოყენებული მასლოვის აგრარული პროგრამის პროექტი (სიეზდზე მას იცავდა ამხ. დეონი), იმ სახით, რა სახითაც იგი ავტორისგან იყო დაბეჭდილი. *).

მაგრამ საქმე იმაში იყო, რომ თვითონ „მეუმცირესეებში“ არ იყო ამ კითხვის შესახებ თანხმობა. მასლოვის პროექტი მთლიანათ, თვითონ ავტორის გარდა. არავის აკმაყოფილებდა. მაშ რა იყო ამ პროექტის ძირითადი თვისება? იგი შესდგებოდა ორი უმთავრესი დედა აზრისაგან.

1) ხდება კონფისკაცია საეკლესიო, სამინისტრო და საუფლისწულო მიწებისა და ეს მიწები გადადის სამფლობელოთ დემოკრატიული სახელმწიფოს ხელში.

2) კერძო მესაკუთრეთა მიწები (მსხვილი მიწათმფლობელობა) გადადის სამფლობელოთ მსხვილ საოლქო თვითმართველობათა ორგანიზაციების ხელში.

პირველ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს მიწის ნაციონალიზაციასთან (მიწების გადაცემა დემოკრატიულ სახელმწიფოს ხელში). პირველ პუნქტშივე შედის სახელმწიფო მიწებიც და თუ მასლოვი აქ ამაზედ არაფერს ამბობს ეს უბრალო ფორმალური მოსაზრებით აიხსნება: რადგანაც იმისთვის ხომ არ ჩამოვართმევთ სახელმწიფოს მიწებს, რომ მერე ისევ სახელმწიფოსავე გადავცეთ. მაშასადამე თუ ის ასეა პირველ პუნქტში ჩვენ გვაქვს მიწის ფონდი, რომელიც ევროპიულ რუსეთში შეადგენს 170 მილიონ დესეტინას. მხოლოთ ციმბირთან ერთად 1370 მილ. დეს. და აი, მასლოვის პროექტით, ყველა ამ მიწების ნაციონალიზაცია ხდება.

*) იხილე პ. მასლოვი „აგრარულ პროგრამის კრიტიკა“, მოსკოვი 1905 წ.

მეორე პუნქტში ჩვენ გვაქვს მუნიციპალიზაცია (მიწის გადაცემა მსხვილ საოლქო თვითმართველობათა ორგანიზაციების ხელში). ეს შეეხება მხოლოთ მსხვილ მიწათმფლობელობას. თუნდაც რო ასე ვიანგარიშოთ, რომ ყოველი ნაჭერი მიწა, რომელიც კი 10 დესეტინას აღემატება, ჩამორთმეული იქნება, ამ შემთხვევაშიაც მივიღებთ მხოლოთ 93 მილიონ დესეტინას. დაბოლოს გლეხკაცთა და წვრილ მესაკუთრეთა ხელში რჩება 132 მილ. დესეტინაზედ მეტი. პროცენტული დამოკიდებულება ამ სამ კატეგორიათა შორის შემდეგია: 86% გადადის სახელმწიფოს ხელში (ნაციონალიზაცია), 6% მუნიციპალიტეტების ხელში და 8% რჩება კერძო (ანუ თემურ) საკუთრებათ. ამ ციფრებიდან სჩანს, რომ ეგრეთ წოდებული მუნიციპალიზაცია არის მხოლოთ დაუმთავრებელი ნაციონალიზაცია*) ამ მდგომარეობამ აიძულა ნაციონალიზაციის მოწინააღმდეგენი, რომ მუნიციპალიზაციაც უარეყოთ. და რომ საქმე იქამდის მისულიყო, რომ ნაციონალიზაციის მოწინააღმდეგენი იძულებული ყოფილიყვნენ ორში ერთი აერჩიათ; ან მუნიციპალიზაცია, ან ნაციონალიზაცია, ისინი ხმას უფრო უკანასკნელს მისცემდნენ როგორც უფრო მთლიან სისტემას. ამიტომ ყველა ის საბუთები, რომელიც პლეხანოვს მოჰყავდა ნაციონალიზაციის წინააღმდეგ (რესტავრაციის შიში) უფრო მეტათ ეხებოდა მასლოვის მუნიციპალიზაციის პროექტს. აი სწორეთ ეს პროექტი უყრიდა თავს მიწის უზარ-მაზარ ფონდს ცენტრალურ მთავრობის ხელში და ამავე დროს აქ სულაც არ იყო ნაჩვენები ის პირობები, რა პირობებშიაც უნდა მომხდარიყო მარტო ეს მიწის გადაცემა; მაშინ როდესაც ლენინი ასახელებს ამ პირობებს: ხალხისგან ამორჩეული ჩინოვნიკები, გაუქმება მუდმივი არმიისა და სხვა და სხვა.

უმთავრესი არგუმენტი, რომელიც მასლოვს მოჰყავს ნაციონალიზაციის წინააღმდეგ, ეს—ნაციის ინტერესებია. „მიწის ნაციონალიზაციის პროექტი—სწერს ის—უტოპიურია იმიტომ, რადგანაც ბევრ ოლქებს აქვთ ტენდენცია ავტონომიისადმი“. ამასათანავე მისდევს შენიშვნა: „დარწმუნებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ დემოკრატიული ელემენტები პოლონეთისა, ლიტვისა, ბალტიის ზღვის ახლო მდებარე ადგილებისა და ამიერკავკასიის „ნაციონალიზაციას“ შეხედამენ, როგორც ნაციის თავისუფლების შეზღუდვის სურვილს“. აქედან ცხადია, რომ „ტენდენცია ავტონომიისადმი“ მუნიციპალიზაციის დროს გადაიქცევა „ტენდენციად ფედერალიზმისადმი“, რადგანაც „სხვა-და-სხვა თვითმართველი ოლქები“ გადი-

*) აქ შეუძლიანთ გვიპასუხონ, რომ აღნიშნული 6% პროცენტი, რომელიც გადადის მუნიციპალიტეტების ხელში, შეიცავს მეტ ნაწილს **დამუშავებულ** მიწებისაო, ასეთი პასუხი ამტკიცებს მხოლოთ გულუბრყვილობას და შორსგაუმჭვრეტელობას. აქ ლაპარაკი მხოლოთ ამ ფონდზედ არის, რომელიც გადადის დემოკრატიულ სახელმწიფოს ხელში, ნაციონალური სასოფლო მეურნეობა კი მარტო პურის ხვნა თესვით არ განისაზღვრება. ნაციონალიზაცია (თუნდ მუნიციპალიზაცია) ხელს შეუწყობს იმ ტყეების და ადგილების ექსპლოატაციას, რომელნიც ეხლა უსარგებლონი არიან.

...რის, როცა ბოლშევიკები ბურჟუაზიის „ლიკვიდაციას“ უნდებიან, მენშევიკები მოწინააღმდეგე პოზიციას იჭერენ და ბურჟუაზიის გათეთრებას, მის დაცვას უნდებიან? აი რაშია კითხვა. ბოლშევიკების ბურჟუაზიის ლიკვიდაციას ის დაუფიქრებელი ჩვენი ამხანაგები და შიში აიტანან:

ბოლშევიკები „ცდილობენ დუმას ჩამოაშორონ ხალხის ყურადღება, დუმა დაანგრიონ, რაც შეიძლება მალე“ და სხვა.

არა, შეშინებულო ამხანაგებო! ეგრეთი „ბუნტოვშჩიკური“ მიზანი აზრათაც არ მოგვსვლია. ჩვენ მხოლოთ იმას ვამბობთ, რომ რადგანაც დუმის უმეტესობა უარყოფს ხალხის მოთხოვნებს, ამიტომ ხალხიც უარჰყოფს დუმის უმეტესობასაქო. და თუ ამ ფაქტით საფთხე მოელის რამე თქვენი იმედების ჰურჰელს—სათათბიროს, ეს—ვფიცავთ სათათბიროს—ჩვენი ბრალი არაა... ჩვენს მენშევიკ ამხანაგებს არ მოსწონთ „ახალი ცხოვრების“ აზრი: „ჩვენდა საბედნიეროთ ჩვენში რევოლიუცია ღვივის, ჩვენ აჯანყების წინა დღეებში ვიმყოფებით“. როგორ, ამხანაგებო: „მაშ არა „ღვივის ჩვენში რევოლიუცია, მაშ არა ძლიერდება ჩვენში რევოლიუცია? აბა გაბედეთ და დაამტკიცეთ წინააღმდეგი! მაშ რევოლიუცია სუსტდება, მაშ რევოლიუცია ქრება? აბა გვიჩვენეთ ფაქტები! და თუ რევოლიუცია ძლიერდება, განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ჩვენ აჯანყების წინა დღეებში ვიმყოფებით“? წაიკითხეთ მეუპლიერესეთა რეზოლიუციის პროექტი „დღევანდელ მომენტზე“ და ისწავლეთ, რომ ჩვენ მართლაც აჯანყების წინა დღეებში ვიმყოფებით. ნუ თუ ეგრე შეგაშინათ „ლენინის მუშტმა“, რომ თქვენს საკუთარ პოზიციასაც კი ვერ ეცნობით... ამხანაგებს ისე გაუგიათ ბოლშევიკების ტაქტიკა, რომ ვითომ მათ

სულ შეიარაღებული აჯანყება აკერიათ პირზე, მათის აზრით ხალხი უკვე მომზადებულია ამ აქტისთვის „შეიარაღებული აჯანყება, დროებითი რევოლიუციონური მთავრობა, დემოკრატიული რესპუბლიკა, აი საითკენ უნდა ვიწვევდეთ ხალხს“ (იხ. „სიმართ.“ № 3).

ეს ხომ სიცრუეა ამხანაგებო, როდის ვამბობდით რომ „ხალხი უკვე მომზადებულია“ შეიარაღებულ აჯანყებისთვის? პირიქით, ჩვენ იმას ვამბობთ და ვამბობდით, რომ ხალხი ჯერ მომზადებული არა ამისთვის, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ხალხის გაჭირვებისა გამო აჯანყება იფეთქებს, იფეთქებს ისე „მოულოდნელათ“, როგორც ეს იანვარში (პეტერბურგი) და დეკემბერში მოხდა —სულ ერთია გვინდა ეს თუ არ გვინდა და ამიტომ საჭიროა ვემზადოთ, გაძლიერებულათ ვემზადოთ აჯანყებისთვის და სხ. თუ სხვა არა წაგიკითხავთ რა, ბოლშევიკების რეზოლიუციის პროექტები მაინც წაიკითხეთ „შეიარაღებული აჯანყებაზე“, იქ ნახავთ, რომ მათ სწორეთ იმაზე აქვთ ლაპარაკი, რომ მომზადებული შევხვდეთ აჯანყებას, რომელიც ჩვენდა დაუკითხავათ დაიქუხებს. სირცხვილია, სხვა არა იყოს რა ამდენი ტყუილების ლაპარაკი. ლენინი ასე და აქე ამბობს—იძახით. დიახ ლენინი რევოლიუციის გზას აღნიშნავდა, და არა იმას, რომ ვითომ ეხლავე დაიწყეთ აჯანყებაო. რატომ სწერთ თუ წაკითხულის გაგებაც არ შეგძლებიათ?.. ბოლშევიკების აზრით რევოლიუცია „მოხერხებული დარტყმააო“ გვეუბნები სიმართლის მეთაურო. დიახ, დიახ, ამხანაგებო, შეიარაღებული აჯანყება მართლაც რომ მოხერხებული დარტყმაა პროლეტარიატისა და გლეხკაცობის, მაგრამ თუ თქვენ ეგრე ერთმანეთში აურევთ რევოლიუციას და აჯანყებას მთელს და ნაწილს,—დამერწმუნებით, რომ თქვენთან კამათს ფასი აღარ ექმნება. რით ვერ გაიგეთ, რომ რევოლიუცია სხვაა და აჯანყება სხვაა, რომ ჩვენში აჯანყება შეიძლება დამარცხდეს, მაგრამ რევოლიუცია, ე. ი სოციალ ეკონომიური პირობების ძირეული შეცვლა, ვერ დ მარცხდება, რით ვერ გაიგეთ, რომ ვოინოვი აჯანყებაზე ლაპარაკობს და არა რევოლუციაზე? რაც შეეხება ჩვენს პესიმისტობას, ამაზე სჯობს გასჩუმდეთ გაიგონებს ვინმე და გაეცინება.

---

# დ ე კ ე შ ა

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

**ქუთაისი.** სამი დღეა რაც ადგილობრივ სატუსაღოში შიმშილით გაფიცვა გამოაცხადეს. ადმინისტრაციას პოლიტიკური და ეკონომიური მოთხოვნები წარუდგინეს.

---

# ახალი ამბები

✦ უსაქმოთ დარჩენილ ინტელიგენტების ბიურო სთხოვს ყველა იმათ, ვინც სამუშაოს უფლებაზე მოწმობა უკვე მიიღო, დღეს თერთმეტ საათზე ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში გამოცხადდნენ აღწერის შესახებ საჭირო განმარტებათა მისაღებათ. იმათ **ვინც ჩაწერილია და რომლის გაჭირვებაც კომისიისგან დამტკიცებულია** მაგრამ მოწმობა კი არ მიუღია მიიღოს, ბიურო სთხოვს გამოცხადდნენ დილის 9—11 საათამდის მეორე პუშკინის სასწავლებელში ორბელიანის ქუჩაზე მესამე უჩასტკაში. იქვე იწარმოებს ახალ უსაქმოთ დარჩენილების ჩაწერა.

✦ 6 ივლისს საღამოს, როგორც იყო შესდგა ქ. საბჭოს ხმოსანთა კრება, რომელზედაც განიხილეს უსაქმოთ დარჩენილ მუშებისათვის საზოგადო სამუშაოს მოწყობის საკითხი. კრებამ საჭიროთ სცნო საზოგადო სამუშაოს მოწყობა და ამ აზრით ნება დართო ქ. გამგეობას დაავიწყოს ქალაქის ზოგიერთი უძრავი ქონება. კრებამ მოისმინა აგრეთვე გამგეობის მოხსენება, სანიტარულ აღწერისათვის 10 ათასი მანეთის მომატების შესახებ და დაამტკიცა კიდევაც.

✦ როგორც შევიტყვეთ, ქუთაისის საპყრობილეში ტუსაღებს შიმშილობა გამოუცხადებიათ. მიზეზი ის ყოფილა, რომ ბენია ჩხიკვიშვილი გადაუყვანიათ სამხედრო საპყრობილეში, ტუსაღებს შორის პროპაგანდის გაწევისათვის.

✦ 6 ივლისს ღვინის სარდაფების და სამიკიტნოების პატრონთ ჰქონდათ კრება, რომელზედაც განიხილეს საკითხი გაფიცულ მუშებთან მორიგების შესახებ. კრებამ აირჩია რამოდენიმე კაცი, რომელიც დაავალეს გაფიცულ მუშებთან მოლაპარაკება და საქმის მოწესრიგება.

✦ ამ ქამათ მეტეხის ციხიდან ადმინისტრაციული წესით იგზავნებიან: არხანგელსკის გუბერნიაში—ერემია შენგელია, ტობოლსკის გუბერნიაში—კოლა ნემსაძე, თეოფანე ჰყონია, აქსენტი კორიფაძე და ირაკლი რობაქიძე. ამ უკანასკნელს ხუთი წლით გზავნიან. დანარჩენებს კი, როდესაც დანიშნულ ადგილზე მივლენ, მაშინ გამოუცხადებენ, თუ რამდენის ხნით ასახლებენ. „შრომა“.

✦ დღეს 11 საათზე ქ. თვითმართველობის სადგომში **უსაქმოთ** დარჩენილ ინტელიგენტებს წაუკითხავენ **ლექციას**, თუ როგორ მოეწყოს სანიტარული სტატისტიკური აღწერა.

✦ გირიუსოვიდან (ერევნის გუბერნია) იტყობინებიან, რომ სომეხ ბოქაულის მოკვლის შემდეგ ოთხი სოფლის მცხოვრებმა უეცრათ ალყა შემოარტყა სოფ. კალაკსიკს, მოჰკლეს 11 სომეხი და გადასწვეს რამდენიმე სახლი. საშველათ მოსულმა სომხებმა თავდამსხმელები შეაჩერეს. საქმის გამოსაძიებლათ წასულია უფროსი მიტკევიჩი.

✦ იქიდანვე იტყობინებიან, რომ 6 ივლის ცნობილი ყაჩაღი, ბული-ბეგლინეც-ნაგი ყაჩაღთა რაზმით თავს დასხმია ს. ხანაცახს. სროლის დროს მოუკლავთ ნაგი ექვსის ამხანაგით.

✦ როგორც ბარურო და ლალადეზადან იტყობინებიან, გზაზე უნახავთ ორი

---

[...]ქცევიან კარჩაკეტილ ერთეულებათ და ეს კარჩაკეტილობა და დამოუკიდებლობა უფრო ხელს შეუწყობს ფედერალიზმის განვითარებას. ეს ყველამ კარგად გაითვალისწინა სიეზდზე და ამიტომ, როცა ახალ პროგრამას პუნქტობრივ იღებდნენ, იქმნა შეტანილი და მიღებული შესწორება, რომელიც სიტყვებს „თვითმართველნი მსხვილი საოლქო ორგანიზაციები“ სცვლიდა სიტყვებით „მსხვილი ადგილობრივი თვითმართველობათა ორგანოები“. ამ შესწორებით, როგორც ქვევით დავინახავთ, სცდილობდნენ აეცილებინათ თავიდან ნაციონალური ტენდენციის აღორძინება და ფესვის გადგმა ე. ი. სწორეთ მისი უარყოფა უნდოდათ, რაც მასლოვს თავის პროექტის დასამტკიცებლათ უმთავრეს საბუთათ მოყავდა. და აი ეს ნაციონალური განცალკევების ტენდენცია იყო მიზეზი, რომ ცენტრალიზაციის მომხრეებმა უარჰყვეს მასლოვის პროექტი.

დაბოლოს „მეუპლიერესეთა“ შორის იყო ისეთი მიმდინარეობაც, რომელიც მხარს უჭერდა მიწის დაყოფას კერძო საკუთრებათ გარდა ზოგიერთა დელეგატებისა, დაყოფის მომხრენი იყვნენ აგრეთვე კავკასიის დელეგატები, რომელნიც „მეუპლიერესეთა“ შორის თვალსაჩინო ძალას წარმოადგენდნენ. ისინი უთითებდნენ რა გლეხების სულიერ მდგომარეობაზე, ამტკიცებდნენ, რომ მიწის დაყოფა უფრო შეეფერება გლეხის ინტერესებს და სურვილს.

ამნაირათ აი ეს სამი მიმდინარეობა შეახნენ ერთი ფეითეულმა მათგანმა თავისი წვლილი შეიტანა პროგრამაში. ნაციონალიზაციის მოწინააღმდეგეთა ზედგავლენით გადაჭრილ იქმნა გადაეცეს დემოკრატიულ სახელმწიფოს მხოლოთ ის „მიწები, რომლებიც საჭიროა გადასახლების ფონდათ და აგრეთვე წყლები და ტყეები, რომელთაც საერთო - სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ“. მათივე ზედგავლენით, როგორც ზემოთ გვაქვს ნაჩვენები, იქმნა შეცვლილი ერთი უშნო აზრი იმაზე უუშნოესი.

დაბოლოს, მიწის დაყოფის მომხრეთა ზედგავლენით მასლოვის პროექტს მიაკერეს, რეზოლიუციის ფორმით, სხვა-და-სხვა პირობებში მიწის კერძო საკუთრებათ დაყოფა. და აი ამან ვითომდა შეარიგა სხვა და სხვა მიმდინარეობანი ერთ აგრარულ პროგრამაში, რომელიც სიეზდზე მიიღეს.

აი ეს პროგრამაც: *)

„ბატონყმობის ნაშთების მოსასპობათ, რომელიც მძიმე ტვირთათ აწევს გლეხკაცობას ზურგზე და სოფელში კლასთა ბრძოლის თავისუფლათ გასავითარებლათ, რ. ს. დ. მ. პ. მოითხოვს:

1) მოისპოს ყოველნაირი წოდებრივი შევიწროება გლეხთა პიროვნებისა და საკუთრებისა.

2) მოისპოს ყველა ის გადასახადები და ბეგარა, რომელიც იწვევს გლეხთა წოდებრივ განკერძოებას, და აგრეთვე ხელშეკრულებანი, რომელთაც ბატონყმური ხასიათი აქვთ.

3) კონფისკაცია საეკლესიო, სამონასტრო, საუფლისწულო, საკაბინეტო და და აგრეთვე სახაზინო მიწებისა და იმათ გადაცემას ქალაქისა და სოფლებისაგან შემდგარ ადგილობრივ მსხვილ თვითმართველობათა ორგანოების ხელში, ხოლო ის მიწები, რომლებიც საჭიროა გადასახლების ფონდათ და აგრეთვე წყლები და ტყეები, რომელთაც საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ, უნდა გადაეცეს საკანონმდებლო დემოკრატიულ სახელმწიფოს.

4) კერძო მიწების კონფისკაციას, გარდა წვრილ მიწათ-მფლობელთა საკუთრებისა და დემოკრატიულ საფუძველზე არჩეულ მსხვილ ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოების ხელში გადაცემა. ჩამოსართმევი მიწების მინიმალური რაოდენობა ისაზღვრება ადგილობრივი მსხვილი თვითმართველობის ორგანოების მიერ.

უჭერთ რა მხარს გლეხთა რევოლიუციონურ გამოსვლას თვით საბატონო მიწების კონფისკაციამდის, რუს. ს. დ. მ. პ. წინააღმდეგობას გაუწევს ეკონომიურ განვითარების დამაბრკოლებელ ყოველნაირ ცდას. ეცდება რა ძლევა მოსილ რევოლიუციის განვითარების დროს გადასცეს ჩამორთმეული მიწები სამფლობელოთ ადგილობრივ დემოკრატიულ თვითმართველობათ, რ. ს. დ. მ. პ. თუ ვინიცობაა ამას პირობები ხელს არ უწყობს, მიემხრობა იმ საბატონო მიწების გლეხთა შორის გაყოფასაც, რომელზედაც ფაქტიურათ წვრილი მეურნეობა სწარმოებს, ან და, რომელიც საჭიროა მის მთლიანობისთვის. ამასთან ერთათ ყოველ პირობებში და ყოველნაირ დემოკრატიულ აგრარულ ცვლილების დროს, პარტია თავის მიზნათ ისახავს შექმნას სოფლის პროლეტარიატის დამოუკიდებელი კლასიკური ორგანიზაცია, აუხსნას და გაურკვიოს მისი და სოფლის ბურჟუაზიის ინტერესთა შეურიგებლობა, გააფრთხილოს ის წვრილი მეურნეობით გატაცებისაგან, რომელსაც საქონლის წარმოების ხანაში არ შეუძლია მოსპოს ხალხის სიღარიბე, და ბოლოს მიუთითოს მას სოციალისტურ ცვლილების საჭიროებაზე, რომელიც მოსპობს ყოველნაირ სიღატაკეს და ექსპლოატაციას“.

მ. გ.—ძე

(შემდეგი იქნება)

*) „ნევის გაზეთის“ მეხუთე ნომერში პროგრამის ტექსტი სწორეთ არ არის მოყვანილი: პირველი ნაწილი მეოთხე პუნქტამდის მოყვანილია როგორც პროგრამა, მხოლოთ შემდეგი აბზაცი, როგორც „ტაქტიკური რეზოლიუცია“. ასეთვეა იგი დამახინჯებული ც. კომიტეტისაგან სიეზდის შესახებ გამოცემულ უწყებაში („ნევის-გაზეთი“ № 10). სიეზდზე იყო აღძრული კითხვა პროგრამის ორ ნაწილათ გაყოფის შესახებ, სადაც მეორე ნაწილი ტაქტიკურ რეზოლიუციათ უნდა დარჩენილიყო. მაგრამ **სიეზდმა ეს წინადადება უარყო.** ყველაზე ძაან ამის წინააღმდეგ პლეხანოვმა გამოილაშქრა, რომელიც ამტკიცებდა, რომ პროგრამის გაყოფა ისე არ შეიძლება როგორც თავის ტანიდან მოშორება. ახლა კი „ნევის გაზეთი“ და ც. კ. არ ერიდებიან ამ ოპერაციას. იმას რომ თავი დავანებოთ, რომ არც ს ფორმალური უფლება არ აქვს შესცვალოს სიეზდის გადაწყვეტილება, უმნიშვნელო არ იქნება შევნიშნოთ, რომ დენის და პლეხანოვის პირში შვილს თავი ისე მაგრათ არ აქვთ მიბმული ტანზედ, როგორც ისინი ამას სიეზდზე გვიმტკიცებდნენ.

თავმოჭრილი სომეხი. როგორც გამოირკვა, მეცხვარე ქურთებს მოუკლავთ.

✦ 6 ივლის საღამოს პოლიცია-ჟანდარმებმა და ჯარმა ალყა შემოარტყეს პუშკინის პასაჟს და შეუდგნენ ჩხრეკას. გაჩხრიკეს; სხვათა შორის ამ პასაჟში მოთავსებული პ. მირიმანიანი ფოტოტიპიაც, სადაც იპოვეს რამდენიმე ა-ა ლეგალური ლიტერატურა, წერილები და კარიკატურები. ფოტოტიპიის მანქანა დაბეჭდეს.

✦ 6 ივლის საღამოს 10 საათზე ალექსანდროვის ქუჩის ბოლოს ალექსანდრე-ნეველის ეკლესიის გვერდით ღვინის სარდაფში ვიღაც უცნობმა გადაისროლეს ზედ-ზედ ორი ყუმბარა, რომელნიც აფეთქდა და მძიმეთ დასჭრა სარდაფის პატრონი ტამიროვი; წელებ გადმოყრილი ტამიროვი წაიყვანეს საავადმყოფოში სადაც იმ ღამესვე გარდაიცვალა. მსროლელი მიიმალა. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა პოლიცია და ჯარი, გაჩხრიკეს ახლო მახლო სახლები, მაგრამ ვერაფერი იპოვეს.

✦ 6 ივლისიდან გაიფიცნენ თბილისის ლუდის ქარხნების მუშები და მოთხოვნები წარუდგინეს თავიანთ ხაზეინებს.

# კავკასია

**გურია.** 23 ივნისის „ჩერ. ვესტნიკ“-ში მოთავსებული იყო კორესპონდენცია, რომელშიც ავტორი გურიის თანამედროვე მდგომარეობას ეხებოდა. სხვათა შორის, ნათქვამი იყო, გურულები ხელახლათ სახალხო სამართალის შემოღებას აპირებენო. ამ ამბავმა ოტრიადის უფროსის ყურამდის მიაღწია. მან საჩქაროთ აფრინა კაზაკები დ. მგელაძის მეთაურობით. 1 ივლისს ამავე ოტრიადის უფროსის ბრძანებით შეიკრიბენ ყველა საზოგადოების რწმუნებულები ქ. ოზურგეთში, სადაც მათ გამოცხადნენ: პოლკოვნიკი, მაზრის უფროსი, ბოქაულები და სხვა. ყველანი თავის ამალით. ოტრიადის უფროსმა გამოუცხადა მათ, რომ ვინაიდან ხალხში „რაღაც“ კიდევ იწყებაო, გაფრთხილებთ არ მისცეთ მაგნაირ სისულელეს, თორემ ეაი თქვენი ბრალი, ქვას ქვაზე არ დავტოვებო. ვექილებმა პირობა მისცეს, ვეცდებით ამნაირი არაფერი მოხდის, თუ თქვენი სურვილი იქნება პოლიციამ და ჯარმა მოგვეხმაროს მოსალოდნელი შემთხვევის ჩასქარობათო. საჭიროთ ვრაცხთ აღვნიშნოთ, რომ ყველა ეს ვექილები რეაქციის დროს არჩეულნი არიან და სწორეთ ისეთი პირებია, რანაირებიც ამ დროს შეეფერებოდა. თავისი მოღვაწეობით მათ დღეს ხალხმა საკადრისი სახელიც უძღვნა, „ჟანდარმები“.

3 ივნისს ს. შემოქმედში მოხდა ამ საზოგადოების თავად-აზნაურთა და სასულიერო წოდების პირთა კრება. კრებამ განიხილა ის წინადადება, რომელიც გლეხებმა შეიმუშავეს თავის კრებაზე. წინადადება მდგომარეობს შემდეგში: სახალხო კრებამ, რომელიც მოხდა 19 ივნისს მიიღო რა მხედველობაში, რომ საერთო საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველა წოდებები თანასწორათ უნდა ინაწილებდნენ საჭირო ხარჯს სხვა და სხვა სასარგებლო დაწესებულებისათვის, გადასწყვიტა წარუდგინონ ეს წინადადება ხსენებულ წოდებებს, რათა შეეზიარონ მათ (გლეხებს) ამ ხარჯში, თუ ისინი, რასაკვირველია, საჭიროთ დაინახავენ, რომ მათ შორის იყოს მეზობლური ურთიერთობა და ამხანაგობა. ამ საკითხმა ჩვენი „კეთილშობილნი“ დიდხანს ალაპარაკა. ზოგი კიდევაც გაიოცა გლეხების „თავხედურმა“ წინადადებამ; დასასრულ, დიდი კამათის შემდეგ მიღებულ იქმნა ეს წინადადება.

ს. შემოქმედში ორმა გიმნაზიელმა ქალებმა დაარსეს კერძო სასწავლებელი. ლიბულობენ და ასწავლიან ორივე სქესის ბავშვებს უფასოთ. ვუსურვებთ სხვებსაც ასეთ მაგალითს მიჰყოლოდნენ და უსწავლელ მოზარდ ბავშვებისათვის გონებრივი საზრდო მიეწოდებინოთ.

**ყორუ.**

# დეპეშები

**(„პეტერბურგის სააგენტოსაგან“)**

5 ივლისი.

**პეტერბურგი.** მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი სამსახურიდან დათხოვნილ იქნა ავათმყოფობის გამო. უმაღლესი სამადლობელი რესკრიპტი შემდეგი სიტყვებით თავდება: „გულითად მადლობას გწირავ თავგანწირული გმირული მოღვაწეობისთვის **ნიკოლოზ.**“—მოსკოვის ჯარების უფროსი გენერალი ლეიტენანტი გერშელმანი დაინიშნა მოსკოვის გენერალ-გუბერნატორათ. — არმიის მეშვიდე კორპუსის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ბარონი მელლერ-ზაკომელსკი ინიშნება სამხედრო მინისტრის განკარგულებაში. მის ალაგას ინიშნება თურქესტანის კაზაკთა პირველი დივიზიის უფროსი გ.-ლ. შპიცბერგი. — კადეტთა პარლამენტარულმა ფრაქციამ დაადგინა მიიღოს მთავრობის დეკლარაციის საპასუხო განმარტების პროექტი.—გრაფ ტოლლებენზე თავდასხმის მიზეზათ შურის ძიებას ასახელებენ; გრაფის ჩვენებით დაიჭირეს აგიტატორი, რომელიც ჯარში მოწოდებებს ავრცელებდა.

**სევასტოპოლი.** როცა სასამართლოში ირჩეოდა შეიარაღებული აჯანყების საქმე, ბრესტის პოლკის უფროსს ფლოტის ეკიპაჟის ყაზარმებიდან ყუმბარა ესროლეს. პოლკის უფროს ყუმბარამ ვერაფერი დააკლო.—აჯანყებულების დამცველებმა რამდენიმე მოხსენება წარუდგინეს სასამართლოს, რადგანაც სასამართლომ უარი უთხრა, დამცველებმა დაცვაზე უარი განაცხადეს. ბრალდებულებმაც, გარდა ცხრა კაცისა, უარი თქვეს გასამართლებაზე. სასამართლოში მარტო ცხრა მატროსი და ორი მთავრობისგან დანიშნული დამცველ არიან.

**ოდესა.** გაიფიცნენ წისქვილის (?) მუშები. ითხოვენ 8 საათის სამუშაო დღეს და სამუშაო ქირის მომატებას. პორტში გაფიცვა არ შეწყვეტილა. ოდესაში ძლიერდება ვაჭრობის კრიზისი. ზარალი რამდენიმე მილიონს უდრის.

**ნიკოლაევი.** გაიფიცნენ მეპურეები.

**ცარიცინი.** როცა გაფიცული მეპურეები სამუშაოზე ხელს აღებინებდნენ მომუშავე ამხანაგებს ნოქარმა მოშკინმა მოჰკლა გაფიცულების ბელადი. მეპურეები სახლის განადგურებას აპირებდენ, მაგრამ შეგნებულმა ამხანაგებმა შეაჩერეს. აუარებელი ხალხი მისდევდა მოკლულის გვამს. ქალაქში ყველაფერი დაკეტილია, დაიწყო დამტვირთავების გაფიცვა.

**მოსკოვი.** საერობო ორგანიზაციის გამოკვლევით დამშეულთათვის მთავრობის გამოანგარიშებული 100 მილიონი მან. არ არის საკმარისი, დამშეულებს 150 მილიონი მანეთიც არ ეყოფათ.

**ლოზანნა.** (შვეიცარის მთავრობამ გადასწყვიტა მისცეს რუსეთის მთავრობას მოსკოვის საზოგადოების გამცარცველების მოთავე ბელენცოვი.

**პეტერბურგი.** „ნოვოე ვრემია“ გადმოგვცემს, რომ მალე ხელმწიფეს წარუდგენენ პორტ-არტურის საქმეზე მოხსენებას. გენერალ სტესელს და სხვებს სამართალში მისცემენ. თუ გაამტყუნეს სტესსელს დახვრეტა ელის. პეტერბურგის ვაგონების დამტვირთველების მოთხოვნები დააკმაყოფილეს.—თამბაქოს ფაბრიკების გაფიცვა მთელ პეტერბურგს მოედო. გაფიცულია 20,000 მუშა.—ფინლიანდიის რკინის გზაზე გაიფიცნენ მიწის მთხრელი მუშები, გამოიწვიეს ჯარი და სალდათები. შეტაკების დროს დახოცეს და დაიჭირეს მუშები.

**სიზრანი.** მთელი ქალაქი ცეცხლის ალშია გახვეული. მცხოვრებლები სამარისკენ გარბიან.

6 ივლისი

**ხარბინი.** ხუნხუზებმა დაამარცხეს ჩინელების რაზმი. 3 ივლისს ხუნხუზები სადგურ მაღშს ესროდენ. საზღვრის დარაჯებმა ხუნხუზებს უკან დაახევინეს. სადგური მონგოუ სავსეა სოფლებიდან გამოქცეული ჩინელების ოჯახობით, სამხედრო ტოპოგრაფები ხუნხუზების შიშით მანგოუსკენ გაეშურენ. ხარბინიდან სამი „სოტნა“ საზღვრის დარაჯები გაგზავნეს. ჩინურ სადგურებზე მცხოვრებ რუსებში დიდი შიშიანობაა.

**მოსკოვი.** პოლიციელს ყუმბარა ესროლეს აფეთქებისაგან არავინ არ დაშავებულა. რამდენჯერმე ესროლეს პრისტავ სტეპანოვს და დასჭრეს იგი. ორი მსროლელი დაიჭირეს.

**სამარა.** დაიწვა 70 სახლი აუარებელი ღარიბი ოჯახები უსახლკაროთ დარჩნენ.

**კიევი.** დაიჭირეს ვიღაც პოგიერსკო, რომელიც ჟანდარმის ოფიცრის ტანისამოსში დადიოდა. დაჭერილმა განაცხადა საიდუმლო პოლიციაში ვმსახურებო, როცა ეს ტყუილი აღმოჩნდა სთქვა—პროვაკატორი ვარ და ნამდვილ რუსების კავშირს ვეკუთვნიო. დაჭერილს ჯიბეში რევოლვერი უნახეს.

**პეტერბურგი.** ქალაქის თავმა განუცხადა ქალაქის მოსამსახურეებს: თუ პროფესიონალურ კავშირებში შედით სამსახურიდან დაგითხოვთო.—ტაშკენტში დიდი არეულობა მოხდა პოლიტიკური ტუსაღების გაგზავნის დროს. როცა ტყვეები ვაგონებში შეიყვანეს მუშებმა რკინის გზაზე ბარრიკადები ააშენეს, ეცენ მატარებელს და ტყვეების განთავისუფლებას ცდილობდენ, საშინელი შეტაკება მოხდა კაზაკებსა და მუშებს შორის. ბევრია დაჭრილი და დახოცილი. მუშები გაფანტეს. გზა გაწმინდეს და ტყვეები წაიყვანეს.

**ვარშავა.** ვარშავის რკინის გზაზე მიმავალ მატარებელს ყაჩაღები დაეცნენ. იმათ აზრათ ჰქონდათ არტელშჩიკის გაცარცვა. არტელშჩიკს 20000 მან მიქონდა მუშებისთვის. ყაჩაღებმა მატარებელი წითელი დროშით გააჩერეს და სროლა ასტეხეს. მემანქანემ საშინელი სისწრაფით წაიყვანა მატარებელი. მატარებელი ტყვიებით დახვრეტილია. მემანქანე ფეხში დაიჭრა.

**იაროსლავი.** 7 თვის ტყვეობის შემდეგ გაანთავისუფლეს პოლიტიკური ტუსაღი.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს ცნობა, აგრარული კითხვის შესახებ, პეტრუნკევიჩის რედაქციით:—[illegible] ივნისს სამინისტრომ გამოაქვეყნა მთავრობის ცნობა, რომელშიდაც აცხადებს აგრარული კანონის პროექტს. ეს პროექტი მცხოვრებლებს აგრარული კითხვის მშვიდობიან გადაწყვეტის იმედს უკარგავს. სახელმწიფო სათათბირო ყოველთვის ცდილობდა და ეცდება მშვიდობიანათ დააწესოს რუსეთში ახალი წესწყობილება და იმედი აქვს, რომ მთავრობის განცხადების განმარტება დაამშვიდებს აღელვებულ ხალხს, დაარწმუნებს მას, რომ მშვიდობიანათ გადაწყდება აგრარული საკითხი. ამიტომ სახელმწიფო სათათბირო მოაგონებს ხალხს, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტის ძალით ვერც ერთი კანონი ვერ შევა ძალაში, თუ სახელმწიფო სათათბიროსგან არ იქნება დამტკიცებული. 5 მაისს ხელმწიფე იმპერატორის საპასუხო ადრესში დუმა მიწის საკითხზე ამბობს: მრავალ-რიცხოვანი გლეხობა მოუთმენლათ ელის მიწას და პირველმა სახელმწიფო სათათბირომ უნდა დააკმაყოფილოს გლეხობის მიუცილებელი საჭიროება. ამ მიზნით გლეხობას უნდა გადაეცეს: სახაზინო, საუფლისწულო, მონასტრების, კაბინეტის და საეკლესიო მიწები. უნდა ჩამოერთვას კერძო პირებს მსხვილი მამულები და გადაეცეს გლეხებს.—მაგრამ 13 მაისსავე გამოაცხადა მთავრობამ, რომ კერძო პირების მამულების ჩამორთმევაზე ის არ ეთანხმება. სახელმწიფო სათათბირომ მინისტრების უნდობლობა გამოუცხადა და მაშინვე შეუდგა ახალი კანონის შემუშავებას. ასი კაცისგან შემდგარი საგანგებო კომისია ადგენს ახლა ამ კანონს. კანონი შედგენილი იქნება ხელმწიფის საპასუხო ადრესში გამოთქმული აზრის მიხედვით. კერძო მამულები ძალ-დატანებით ჩამოერთმევა მემამულეებს და სახელმწიფო სამართლიანად შეისყიდის ამ მიწებ. წვრილ მესაკუთრეებს მიწას არ ჩამოართმევენ,—იგივე კომისია შეიმუშავებს კანონს, რომლის ძალითაც დაარსდება ადგილობრივი დაწესებულება. მცხოვრებლები თავის წარმომადგენლების შემწეობით თვალყურს ადევნებენ მიწის სამართლიან განაწილებას. აი ასე მოაწყობს სახელმწიფო სათათბირო ახალ კანონს და ყოველივე ისეთი წინადადება, რომელიც ამ კანონს არ შეეფერება ზათათბიროსგან დაგმობილი იქნება.

რედ.-გამომც. **ნ. ახმეტელაშვილი.**


# განცხადება

პირველ ივლისიდან მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ გაზეთ

## „ახალ ცხოვრებაზე“.

**გაზეთი ეღირება:**

**თფილისში:** წლიურათ—6 მ, ექვსი თვით—2 მ. 50 კ., თვიურათ—50

**ქალაქს გარეთ:** წლიურათ 6 მან. ექვსი თვით 3 მ., თვიურათ—60 კ.

**ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპ.**

ვინც გაზეთს წლის ბოლომდი გამოიწერს იმას გაზეთი 20 ივნისიდან 1 ივლისამდე უფასოთ დაეთმობა.

რედაქციის ადრესი: სემიონოვის ქუჩა № 4.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „Ахали Цховреба.“.


ელექტრო მბეჭდავი „ლამპარი“ სემენოვის ქუჩა № 4.